მაისი, ივნისი, ივლისი
2018

GHRN
ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK

საინფორმაციო ბიულეტენი N30

ძვირფასო მკითხველო,

„ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა“ განაახლა ყოველთვიური ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა. ბიულეტენი განკუთვნილია „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრთათვის და მისი შინაარსიც ამან განაპირობა: ქსელის წევრ ორგანიზაციებში ჩატარებული შეხვედრების მიმოხილვა, საერთაშორისო სიახლეები ზიანის შემცირების საკითხებზე, ასევე, თვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები ზიანის შემცირების სფეროში. ელექტრონულ ბიულეტენში, იხილავთ ინფორმაციას „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრი ორგანიზაციების აქტივობების შესახებ და მომდევნო თვის შეხვედრების ანონსს. საინფორმაციო ბიულეტენი ქართულენოვანია და ელექტრონული ფოსტით გაეგზავნება „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მხარდამჭერებს.

ყველას პასუხისმგებლობა – არავინ პასუხისმგებელი?

8 მაისს ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელმა ჰუმანური ნარკოპოლიტიკისთვის (GeNPUD) პრეს კლუბ პრაიმტაიმში საქართველოში არსებული ნარკოვითარების შედეგად განვითარებულ მოვლენებზე პრესკონფერენცია გამართა და საგანგებო განცხადება გააკეთა: **ყველას პასუხისმგებლობა – არავინ პასუხისმგებელი?**

უკანასკნელ დღეებში ჩვენს ქვეყანას თავს დაატყდა რეპრესიული ნარკოპოლიტიკის ტრაგიკული ტალღა, რამაც წაგვართვა ჩვენთვის ყველასათვის ფასეული არაერთი ახალგაზრდის სიცოცხლე.

მომხმარებელთა ქსელი საკუთარ განცხადებაში აღნიშნავს, რომ შექმნილ სიტუაციაში სრული პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ხელისუფლებამ და იმ აქტორებმა, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად არიან კავშირში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან.

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკების ბრუნვის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო პოლიტიკა არ არის ეფექტური ნარკოდილერებთან ბრძოლის მიმართულებით. შედეგად მივიღეთ: ინტერნეტ სივრცე გამართული სისტემებით, შავ ბაზარზე მოვაჭრე წვრილი დილერები, საზოგადოების თავშეყრის ადგილებსა და სააფთიაქო ქსელებში არასრულწლოვანებისთვის ნარკოტიკული საშუალებების და მათი ინგრედიენტების შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა.

მომხმარებელთა ქსელმა პრეს-კონფერენციაზე გააჟღერა მოთხოვნები შექმნილი ტრაგიკული ფაქტების პრევენციის მიზნით და ნარკოპოლიტიკის ძირეული რეფორმის დასაჩქარებლად.

„ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელი“ გულისტკივილით იზიარებს გარდაცვლილი ახალგაზრდების ოჯახების და მთლიანად საზოგადოების მწუხარებას.

ქვეყანაში ისევ მოქმედებს წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი მახინჯი ნარკოპოლიტიკის „მარეგულირებელი“ სისტემა, რომელიც დღემდე ზიანს აყენებს ათასობით ადამიანის ჯანმრთელობას, ნარკოტიკი ისევ არის დასჯის იარაღი, ასეულობით ნარკოტიკების მომხმარებელი ადამიანი იხდის უსამართლო სასჯელს.

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკების ბრუნვის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო პოლიტიკა არ არის იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება დროულად არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელი“ (GeNPUD) იძულებული იქნება მიმართოს პროტესტის უკიდურეს ზომას. გთავაზობთ მათ განცხადებას:

ეფექტური ნარკოდილერებთან ბრძოლის მიმართულებით. შედეგად მივიღეთ: ინტერნეტ სივრცე გამართული სისტემებით, შავ ბაზარზე მოვაჭრე წვრილი დილერები, საზოგადოების თავშეყრის ადგილებსა და სააფთიაქო ქსელებში არასრულწლოვანებისთვის ნარკოტიკული საშუალებების და მათი ინგრედიენტების შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა.

2017 წელს ინიცირებული რეფორმის მთავარი ამოცანა იყო ძირითად პრინციპებზე აგებული კომპლექსური ხედვისა და პოლიტიკის ფორმირება, რომელიც პირველ რიგში გულისხმობდა: მომავალი თაობის განათლებით და პრევენციით, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების საფრთხის არიდებას; ნარ-

კოტიკების მომხმარებლების ჯანდაცვის სერვისებით უზრუნველყოფას; მოხმარების დეკრიმინალიზაციას, მიწოდების შემცირებას და ნარკომოვაჭრეთა დასჯის გამკაცრებას.

სამწუხაროდ ნარკოპოლიტიკის რეფორმას, ირაციონალური მოლოდინებით და პოპულისტური განცხადებებით არაერთგზის შეეწინააღმდეგა პოლიტიკოსების ჯგუფი. რეფორმის მიმდინარეობის პროცესში საზოგადოება ვერ იქნა უზრუნველყოფილი კანონპროექტთან დაკავშირებული რეალური ინფორმაციით. კანონპროექტის ინიციატორმა პოლიტიკოსებმა ვერ უზრუნველყვეს რეფორმის მთავარი პრინციპების დაცვა.

დღეს საქართველოში ხელოვნურად გაყინულ ლოდს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის სახით ყოველდღიურად ეწირება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ნარკობაზარზე ფართოდ არის გავრცელებული მკვლელი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები, ბობოქრობს სააფთიაქო ნარკომანია. ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისები არ არის არასაკმარისი და პროგრამები ჯეროვნად ვერ ასრულებენ საკუთარ დანიშნულებას.

ჩვენი მოთხოვნები:

- სასწრაფოდ დადგინდეს და მიეწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას რა ნივთიერების მოხმარების შედეგად მოხდა ადამიანების გარდაცვალება;
- სახელმწიფომ გაატაროს პრევენციული ზომები, მოხდეს მოსახლეობის დროული ინფორმირება მსგავსი ფაქტების თავიდან ასარიდებლად;
- ჩატარდეს გამოიძიება ყველა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, დადგინდეს ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების შემოსვლის წყარო, მათი რეალიზატორები და მფარველები, რათა კანონის მთელი სიმკაცრით აგონ პასუხი;
- მოხდეს რეცეპტორული სისტემიდან პრეპარატ ნალოქსონის ამოღება, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ზედოზირების დროს. სამწუხაროდ რეცეპტორულ სიაში შეტანის გამო ეს პრეპარატი ხელმისაწვდომი არ არის;
- განხორციელდეს ჩანაცვლებითი თერაპიის (ჩთ) პროგრამების გეოგრაფიული მოცვის გაზრდა, უზრუნველყოფილი იქნას სუბოქსონის პროგრამის ფინანსური ხელმისაწვდომობა და განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ მკურნალობის ხარისხზე კონტროლი;
- სისტემურად დაინერგოს და ამუშავდეს სამკურნალო/სარეაბილიტაციო ცენტრები;
- დაუყონებლივ იქნეს მიღებული გადაწყვეტილება ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე – მთავარი პრინციპების დაცვით: მოხმარებაზე სისხლის სამართლის დევნის გაუქმება, პრევენცია და ჯანდაცვის სასიცოცხლო სერვისების ხელმისაწვდომობა.
- იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება დროულად არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელი“ (GeNPUD) იძულებული იქნება მიმართოს პროტესტის უკიდურეს ზომას“, – ნათქვამია განცხადებაში.

აივ/შიდსის და ჰეპატიტების საერთაშორისო კონფერენცია

16-18 მაისს, ესპანეთის ქალაქ სევილიაში ჩატარდა მე-14 საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექციასთან დაკავშირებული კო-ინფექციები და ღვიძლის დაავადებები.

კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღო ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წარმომადგენელმა გურანდა ჯიქიამ. მის მიერ წარმოდგენილ იქნა თეზისი თემით: „C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა – მკურნალობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის ბარიერები“. თეზისში ასახული იყო ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში C ჰეპატიტზე ტესტირების პრაქტიკა და შედეგები, საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვის ბარიერები. ასევე აღნიშნულ იქნა C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ინიცირებაში გლობალური ფონდის პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი როლი. შეხვედრაზე არაერთი საინტერესო მოხსენება გაკეთდა. კონფერენციას 20-მდე ქვეყნის 120 წარმომადგენელი ესწრებოდა. პრეზენტაციებით წარმოდგენილ იქნა: ქვეყნების ეპიდსიტუაციები, C ჰეპატიტზე ტესტირების ახალი სტრატეგიები, C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა, აივ-თან კო-ინფექცია და მკურნალობის

თავისებურებები, C ჰეპატიტის მკურნალობის ბარიერები და მიღწევები, ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში C ჰეპატიტის მკურნალობის გამოწვევები. კონფერენციის პირველი დღის დასასრულს გაიმართა პოსტერების პრეზენტაცია, სპეციალურად განკუთვნილ სტენდზე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა კვლევის აბსტრაქტები წარმოადგინეს პოსტერის სახით, 20 – მდე პოსტერიდან კომისიის მიერ შერჩეულ იქნა 5 საუკეთესო, რომელთა შორის ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წარმომადგენლის პოსტერი მოხვდა. კონფერენციის მეორე დღეს გურანდა ჯიქიამ თეზისის სიტყვიერი პრეზენტაცია გააკეთა. აბსტრაქტის თემა საინტერესო აღმოჩნდა კონფერენციის მონაწილეებისთვის, დაისვა ბევრი შეკითხვა, გაიმართა ინტერაქტიული დისკუსიები.

აივ პრევენციული სერვისების მიწოდება ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებსა და მათ სქესობრივ პარტნიორებში

16–18 მაისს, საფრანგეთში, ქ. მარსელში აივ-ის, ჰეპატიტი C-სა და სხვა გავრცელებული დაავადებების შესახებ (ISHEAD) საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა, რომელზეც მიწვეული იყვნენ: ხათუნა ქუთათელაძე-პროექტის „აივ პრევენციული სერვისების მიწოდება ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებსა და მათ სქესობრივ პარტნიორებში“ კოორდინატორი და ამავე პროექტის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაბიჯი მომავლისკენ“ სუბ. კოორდინატორი ქეთევან ბიძინაშვილი.

ვინაიდან მსოფლიო მასშტაბით გრძელდება აივ-ისა და ჰეპატიტი C-ს გავრცელება და ყოველწლიურად ახალი შემთხვევის მატების ტენდენცია არის გამოკვეთილი, სიმპოზიუმზე განხილული იქნა მსოფლიო წამყვანი სპეციალისტებისა და ფარმაკომპანიების მიერ თანამედროვე პრევენციისა და მკურნალობის მიდგომები ინფექციების ახალი შემთხვევების შესამცირებლად. ყოველი პრეზენტაციის შემდგომ იმართებოდა დისკუსიები და ნებისმიერ მონაწილეს საშუალება ქონდა მიეღო პასუხი მისთვის საინტერესო კითხვაზე. სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იქნა 10 ორალ აბსტრაქტი და პოსტერები საპრეზენტაციოდ. ქსელის წარმომადგენლების მიერ გაკეთდა 1 სიტყვიერი წარდგინება და 1 პოსტერი გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში: „Attitudes towards harm reduction/HIV counseling and testing services of sexual partners of People Who Inject Drugs“ და „Free DAAs for People who Inject Drugs – does free HCV treatment define effective treatment uptake among PWIDs?“

ხათუნა ქუთათელაძემ სპეციალურად შემდგარი კომიტეტის წარმომადგენლებსა და სიმპოზიუმის სხვა მონაწილეებს წარუდგინა პოსტერი და აღნიშნული თემის შესახებ მიმოხილვა გააკეთა. კომიტეტისა და სხვა დამსწრე საზოგადოების მხრიდან დაისვა შეკითხვები, გაიმართა საინტერესო დისკუსია. ქეთევან ბიძინაშვილმა წარადგინა პოსტერი და დაინტერესებულ მონაწილეებს უპასუხა კითხვებზე. ქსელის მიერ წარდგენილი აბსტრაქტმა და პოსტერმა კარგი შეფასება დაიმსახურა.

გერმანიის საპარლამენტო დელეგაციისა და გლობალური ფონდის წარმომადგენლები „ახალ ვექტორს“ ეწვივნენ

1 ივნისს, ა/ო „ახალი ვექტორის„“ სათაო ოფისს გერმანიის საპარლამენტო დელეგაციისა და გლობალური ფონდის და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები ეწვივნენ. ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა დაათვალიერეს ორგანიზაციაში არსებული სერვისები, მათ შორის ღვიძლის ელსატოგრაფიის, სტომატოლოგიური და სკრინინგ ლაბორატორიის კაბინეტები. სტუმრებმა ასევე მოინახულეს ორგანიზაციაში არსებული სოციალური საწარმოს კუთხე, სადაც მათ სიმბოლურად, საჩუქრის სახით გადაეცათ ბენეფიციართა მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები.

სტუმრები დეტალურად გაეცნენ საველე/აუტრიჩ საქმიანობის სპეციფიკას, გარდა ამისა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, კონსტანტინე ლაბარტყავამ მათ მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია „ახალი ვექტორის“ მიერ განხორციელებული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებაც. ორგანიზაციის წევრებმა მადლობა გადაუხადეს გერმანიის მთავრობასა და გლობალურ ფონდს მსოფლიო მასშტაბით აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის სფეროში სასიცოცხლო სამკურნალო და პრევენციული ღონისძიებების მხარდაჭერისთვის.

შეხვედრა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ოფისში

13 ივნისს, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ოფისში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა აივ/შიდსის სტრატეგიის დოკუმენტის მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს შემუშავებას და შემდგომი 3 წლიანი ინდიკატორების განხილვას და შეთანხმებას. შეხვედრას ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სფეროში მომუშავე ექსპერტები დაესწრნენ. შეხვედრის დროს წარმოდგენილი იქნა მონიტორინგის და შეფასების ჩარჩო, ინდიკატორები და მათი საბაზისო მნიშვნელობები და წლიური სამიზნეები. შეხვედრაზე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჩარჩოზე მუშაობის დროს საკონსულტაციო შეხვედრები გამართა სხვადასხვა მხარეების მონაწილეობით კონკრეტული თემების სპეციფიკის გათვალისწინებით. წინასწარი კონსულტაციები ჩატარდა შიდსის ცენტრთან, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელთან, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის და ორგანიზაციების „ თანადგომა“, „თანასწორობის მოძრაობა“ და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

საკონსულტაციო შეხვედრა მონაწილეთა მხრიდან დიდი დაინტერესებით და მონაწილეობით წარიმართა. გადაწყდა, რომ კონსენსუსზე დაფუძნებული კომენტარების გათვალისწინება მოხდება და პრეფინალური ვერსია დაეგზავნება PAAC უახლოეს 2 დღეში განხილვისათვის. „მსგავსი შეხვედრები ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ვთანხმდებით მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოზე და ინდიკატორებზე, სამიზნეებზე, რომ ვიცოდეთ, როგორ გავზარდოთ მოცვა, როგორ მივაღწიოთ უნივერსალურ ხელმისაწვდომობას მკურნალობაში და შევძლოთ, რომ მაღალი რისკის მოსახლეობას ჰქონდეს სოციალურ და სათემო მომსახურების სერვისებზე ხელმისაწვდომობა. როგორც კი დაინტერესებულ მხარეებს შორის ამ ინდიკატორებზე შეთანხმება მიღწეული იქნება ეს გეგმა პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის წარედგინება განხილვისთვის“. აღნიშნა შეხვედრის ფასილიტატორმა მზია ტაბატაძემ.

ჯანსაღ ცხოვრებას – ალტერნატივა არ აქვს !

26 ივნისს, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს სათემო ორგანიზაციების „ახალი ვექტორი“ და „ნარკოტიკების მომხმარებელთა ქსელი – ჰუმანური ნარკოპოლიტიკისთვის“ (GeNPUD) ორგანიზებით, მინი ფეხბურთის ტურნირი გაიმართა მთავარი ლოზუნგით: ჯანსაღ ცხოვრებას – ალტერნატივა არ აქვს !

მინი ფეხბურთის ტურნირის ფარგლებში გუნდები სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისგან, სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდა. ტურნირში ასევე სტუდენტებმა და ნარკოტიკების მომხმარებელთა სათემო ორგანიზაციის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა.

ტურნირი ლოკომოტივის მცირე სტადიონზე გაიმართა.

ღონისძიება მიზნად ისახავდა: ნარკოტიკების მომხმარებლების, ახალგაზრდების, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ერთიანი ძალისხმევით ნარკომანიასთან და თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლას – განათლებით, პრევენციით და ცხოვრების ჯანსაღი წესით!

საზოგადოებრივი ღონისძიება, ასევე შეუერთდა საერთაშორისო კამპანიას: „მზრუნველობა დასჯის ნაცვლად“ (Support. Don't Punish), რომელიც აღინიშნება „ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს“ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში. „მზრუნველობა დასჯის ნაცვლად“ არის გლობალური კამპანია, რომელიც მიმართულია უზრუნველყოს ნარკოპოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ჯანმრთელობასა და ადამიანების უფლებებს.

Support. Don't Punish.
FUND HARM REDUCTION

ნარკოტიკების მომხმარებელ ქალთა, მათ შორის ტრანსგენდერ ქალთა საჭიროებები, არსებული სერვისები და გამოწვევები

4 ივლისი სასტუმრო ჰოლიდეი ინ თბილისში, C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების თვითორგანიზაციამ „ჰეპა პლიუსი“ საჯარო ღონისძიება „ნარკოტიკების მომხმარებელი, ტრანსგენდერი ქალების საჭიროებები, არსებული სერვისები და გამოწვევები“ გამართა.

საქართველოში ნარკომომხმარებელი ქალები (მათ შორის ტრანსგენდერი ქალები) ერთ-ერთი ყველაზე მარგინალიზებული, სტიგმატიზებული და „უხილავი“ პოპულაციაა. 2017 წლის მონაცემებით, სავარაუდოდ, არსებული 52 000 ნარკომომხმარებლიდან დაახლოებით 10%-ს ქალები შეადგენდნენ. სხვადასხვა მონაცემით, მათი რაოდენობა 4 000-დან 10 000-მდე მერყეობს. მიუხედავად ამისა, ნარკოდამოკიდებული ქალების სამკურნალო პროგრამებში ჩართულობა ძალიან დაბალია (2011 წლის მონაცემებით, სამკურნალო პროგრამებში ჩართულთა მხოლოდ 2%-ს. მკაცრი ნარკოპოლიტიკა და საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება ნარკოტიკების მომხმარებელი ქალების მიმართ მათ სტიგმატიზებას და ჩაკეტილობას განაპირობებს. ისინი პრაქტიკულად არ მონაწილეობენ პროფილაქტიკურ პროგრამებში, არ მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს. არსებული ნარკოლოგიური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებები ძირითადად მამაკაცებზეა მორგებული, და გენდერულად სენსიტიური არ არის, არ ითვალისწინებს ნარკოდამოკიდებული ქალების განსაკუთრებულ საჭიროებებს და ქმნის დამატებით ბარიერს. ქალი ნარკომომხმარებელი სრულიად დაუცველნი.

არიან ისეთი რისკების წინაშე, როგორიცაა ინფიცირება აივ-ით, ვირუსული ჰეპატიტებით და სხვა სგგ ინფექციებით, რეპროდუქციული ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესებით – სექსუალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან. ქვეყანაში არსებული თავშესაფრები, და კრიზისული ცენტრები მათთვის პრაქტიკულად ხელმიუწვდომელია და ვერ პასუხობს ნარკოდამოკიდებული პირების საჭიროებებს. საკანონმდებლო რეგულაციები არ ითვალისწინებს ამ ჯგუფების სპეციფიურობას. აღნიშნული ფაქტორები გადაულახავ ბარიერებს უქმნით მათ მიმართონ სხვადასხვა სერვისებს, მაშინაც კი, როცა ეს მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მრგვალი მაგიდა მიზნად ისახავდა ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი, მათ შორის ტრანსგენდერ ქალთა საჭიროებებზე, არსებული სერვისებზე და გამოწვევებზე დიალოგის ინიცირებას. წარმოდგენილი იყო შემდეგი პრეზენტაციები: ნიმ ქალების და ნიმ-ის პარტნიორი ქალებისათვის სადღეისოდ არსებული სერვისები და სამომავლო გეგმების მიმოხილვა-ნინი წეველიძე, „ჰეპა პლიუსი“; C ჰეპატიტით ინფიცირებული ნიმ ქალების და ნიმ-ის პარტნიორი ქალების ელიმინაციის პროგრამაში ჩართვის ბარიერები“ – სოფიკო გოგოჩაშვილი, „ჰეპა პლიუსი“; ტრანსგენდერების საჭიროებების კვლევა – გვანცა კვინიკაძე, „ჰეპა პლიუსი“.

ღონისძიებაზე გაიმართა ნიმ ქალების და ნიმ-ის პარტნიორი ქალების ნამუშევრების გამოფენა/გაყიდვა და წიგნის „მონანული ავაზაკი მიყვარს“ პრეზენტაცია.

შეხვედრის მხარდამჭერები იყვნენ: ევროკავშირი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, გლობალური ფონდი, ქალთა ფონდი.

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

რედაქტორი: მარინა ასათიანი

**დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ
დაუკავშირდეთ ზიანის შემცირების საქართველოს
ქსელის მედია კოორდინატორს მარინა ასათიანს
ელექტრონულ მისამართზე**
marinaasatiani@yahoo.com

ან

**მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები, შეხედულებები,
გაგვიზიარეთ საკუთარი გამოცდილება და
საქმიანობაში მიღწეული წარმატებები მისამართზე:**

თბილისი, 1060, ჟ. შარტავას 24,
მე-3 სართული, ბ. 6
ტელ.: ოფისი: +995 322 37 21 60
ელ. ფოსტა: *info@hrn.ge*
ვებ-გვერდი: *www.hrn.ge*

GHRN
ზიანის შემსიჰების საქაჰთველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK